პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 ივლისი, 1944 წ. № 148 (7091). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ მასლენიკოვს

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა ფრონტალურ იერიშთან შეხამებული მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 21 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქი ოსტროვი—გერმანელთა კომუნიკაციების დიდი კვანძი და თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს ბალტიისპირეთის ცენტრალური რაიონებისაკენ მიმავალ გზებს.

ოსტროვის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **რომანოვსკის**, გენერალ-ლეიტენანტ **ზასეტაევის**, გენერალ-მაიორ **ეგოროვის**, გენერალ-მაიორ **სტეპანენკოს**, გენერალ-მაიორ **კოლჩანოვის**, გენერალ-მაიორ **კარაპეტიანის**, გენერალ-მაიორ **შაფარენკოს**, გენერალ-მაიორ **ბელობოროდოვის**, პოლკოვნიკ **მირონენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასნოპეცევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კუტეინიკოვის**, პოლკოვნიკ **ლეონოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კოლოსოვის**, პოლკოვნიკ **ფუკოვის**, პოლკოვნიკ **ივანოვის**, პოდპოლკოვნიკ **ფილას**, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ჟურავლიოვის**, პოლკოვნიკ **დოდონოვის**, პოლკოვნიკ **ანდრეევის**, პოლკოვნიკ **პოლუშკოს**, პოდპოლკოვნიკ **პოდმოგილნის**, პოდპოლკოვნიკ **კულიშის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კირჩევსკის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ჩეპუროვის**, პოლკოვნიკ **სერგეევის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **სინელნიკოვის**, პოლკოვნიკ **კოროლიაკოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, მაიორ **კოლოგოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **ოსტროვის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ოსტროვის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 21 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო سალპით سალუტს აძლევს ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ოსტროვი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, **რომლებიც** მონაწილეობდნენ ქალაქ **ოსტროვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, **რომლებიც** დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი И. სტალინი

1944 წლის 21 ივლისი.

ბრძანება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის დაარსების 90 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჰოსპიტლის შემდეგი მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა და ოფიცერთა მოვლა-მკურნალობის საქმეში:

1. **ასათიანი** ალექსანდრა პარამონის-ასული
2. **ბარათაშვილი** თამარ ვასილის-ასული
3. **ბერიშვილი** ევგენია ბესარიონის-ასული
4. **ბოკუჩავა** ოლღა დავითის-ასული
5. **დათაშვილი** ოლიმპიადა ვლადიმერის-ასული
6. **დონოვანი** ვასილ ალექსანდრეს-ძე
7. **დონოვანი** მარიამ მიტროფანეს-ასული
8. **ვაწაძე** შალვა პორფილეს-ძე
9. **ისაევა** ქსენია პროკოფის-ასული
10. **იაბლონსკი** მიხეილ სტანისლავის-ძე
11. **კეფალიდი** ანდრონიკ ივანეს-ასული
12. **ლოსკუტოვა** მარიამ ალექსანდრეს-ასული
13. **მორჩაძე** ეფდოკია ივანეს-ასული
14. **სადოვაია** ანა ეფვთიმეს-ასული
15. **სულაძე** თამარ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Б. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი З. ეგნატაშვილი

1944 წ. 21 ივლისი. ქ. თბილისი.

ლვოვთან

უკრაინის 1-ლი ფრონტი, 20 ივლისი (საკუთარი სპეც. კორ.). ლვოვის გზატკეცილი გახვეულია ცეცხლსა და კვამლში. გზის ვაკისი დასერილია ტანკების მუხლუხებით, ფოთრილია ნაღმებით, ყუმბარებითა და ბომბებით. კიდევ უფრო გაფფრებული ბრძოლა სწარმოებს გზატკეცილის ორივე მხარეს ტყეებში გზისპირა დასახლებული პუნქტებისათვის სასოფლო გზებზე.

მთელ ღამეს წვიმდა. განთიადისას წვიმა გაძლიერდა. ავტომტრანსპორტის უდიდესი ნაკადი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიეშურება, ძლივს მიიწევს წინ. გზებზე სამგალითო წესრიგია. მარეგულირებლები მკაცრად წარმართავენ ავტომანქანების, ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, თვითმავალი ქვემეხებისა და საწევრების წამყვანთ. მეგზური შეჰისავლელ გზებს პოულობენ, აღადგენენ გერმანელთა მიერ დანგრეულ ხიდებს, არემონტებენ გზატკეცილს. უკვე მოწყობილია სარეგულაციო პუნქტი, გზაჯვარედინებზე გამოკრულია გზის მაჩვენებლები, ორგანიზებულია და დისციპლინა ყველაფერში იგრძნობა.

ჯარების შემტევი კოლონების დასაცავად ჰაერში ბარაჟირობენ ავიაგამშვადგურებლები. დაბალ, მძიმე ღრუბლებში დასავლეთისაკენ მიდიან თვითმფრინავთა ესკადრილიები. შეტევა ხმელეთზე და ჰაერში ლვოვისაკენ მიეჭრა.

ჩვენი მოტორიზებული ნაწილების მიერ ლვოვის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით განხორციელებულმა ორმა გარღვევამ თავგზა აუბნია გერმანიის სარდლობას. რაძეხუვ - ბროდი - ზოლოჩოვის სამკუთხედში განლაგებული გერმანელთა დივიზიები გარშემორტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ. ბოდის აღების შემდეგ მოწინააღმდეგე უკან იხევს, სტოვებს ტექნიკასა და საჭურველს. მაგრამ მტრის ზურგში უკვე იყვნენ ჩვენი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები.

ჩვენი გზა გადის დასახლებულ პუნქტებზე, რომლებიც მოწინააღმდეგეს წაართვეს ქვეითებმა. აქ სახლები გადაბუგულია. გადარჩენილ შენობებში ფანჯრები და კარები ჩალეწილია. ყველგან ვხედავთ მტრის სულელური, უაზრო სისასტიკის კვალს.

ზედიზედ გავდივართ კილომეტრებს, მაგრამ მცხოვრებლებს არა ვხვდებით. გერმანელებმა დახვრიტეს მუქარით გაირეკეს მოსახლეობა ზურგში. რამდენიმე მცხოვრები დარჩენილა სოფელ ლაპუშაში. ჩვენ შევხვდით კლიხის ქალს ოლენა კოვალჩუკს. იგი გერმანელებს გამოქცევია და მრავალი დღის განმავლობაში იმალებოდა ტყეში.

— გასამგზავრებლად მომზადებისათვის ჩვენ დღე-ღამეზე ნაკლები დრო მოგვცეს, — გვიამბობს კოვალჩუკი. გერმანელებმა აღგვიიქვეს, რომ ჩვენ ვალე დავბრუნდებოდით. თან წაგვიღებინეს მხოლოდ უსაპირისო ნივთები. მერმე ჩვენ შევიტყეთ, რომ გერმანელებს მეორი ღამე ჩვენი ნაგები სახლები გაეძარცვათ და მთელი პირუტყვი დაეხოცათ.

ზოლოჩოვს იქით ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გრიალებს. მტერმა ქალაქის სამხრეთით თავი მოუყარა მნიშვნელოვან სატანკო ძალებს და ძლიერი კონტრიერიშები მოაქეს, ცდილობს ფუძესთან ჭოპკვეთოს ლვოვის რაიონის მის თავდაცვაში ჩარეულ ჩვენი სოლი. ამას იგი ვერ ახერხებს. გერმანელთა სატანკო კონტრდარტყმები იმსხვრევა საბჭოთა ქვეგანაყოფების რკინისებური სიმტკიცის წყალობით.

დასახლებული პუნქტის პერეპეიტიის მახლობლად ჩვენ ვნახეთ გერმანელთა მიერ მიტოვებული ერთი მრავალთაგანი საარტილერიო ბატარეა. მძიმე ქვემეხები სიმედოდ დაფლულა მიწაში. იქვე ყუმბარების გორებია. მტრის ბატარეის ბუნდი დემორალიზებული იყო ბრძოლის დასაწყისშივე, ხოლო როცა იგი გონს მოვიდა, ქვემეხებს უკვე უახლოვდებოდნენ ლეიტენანტ მოროზის მებრძოლები. როგორც სჩანს, მოწინააღმდეგე ძალიან დაჩქარებით იხევდა უკან: საცეცხლე პოზიციებზე ჰყრია ჯარისკაცის თორმეტი ჩაჩქანი, სამი ჩანთა, ბეთარა და სამხედრო საჭურველის სხვა საგნები, იქვე მიტოვებულია მსუბუქი ავტომანქანა.

მაღლობის თხემზე ადიან ჩვენი მძიმე ტანკები. ისინი საიერიშოდ საწყის ზღუდეებზე გადიან. ჩვენმა ქვეითებმა გერმანელთა კონტრიერიშები მოიგერიეს და გზა გაუკაფეს ტანკებს. არტილერია გრიგალისებურ ცეცხლს უშენს გერმანელებს. იგი გარღვევის ზონაში ცეცხლს კონცენტრირებს, რომელიც ჩვენი ტანკები დაიძრებიან გერმანელთა ზურგისა და კომუნიკაციების წინააღმდეგ.

გზის ნაპირებზე მეავტომატენი ჩხრეკენ მაღალ ბალახს, დამარცხებულ გერმანელთა დივიზიების ბევრი ჯარისკაცი ტყვეებსა და პურის ყანებში იმალება. იფრეიტორმა ნიკოლა ტოკინმა სამი გერმანელი მოიყვანა. ეს ისინი დაიბარა ბალახის ყანაში იმ სოფლის მახლობლად, სადაც გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნა გერმანელთა ბატალიონი, რომელიც წინააღმდეგობას იწევდა. გერმანელები, როცა მთელ მამავალ მებრძოლებს დაინახავენ, მლიქვნელურად თავს ხრიან და ეფალს აჩიდებენ მათ.

„ნაღმები“. გამაფრთხილებელი წარწერები თვალში გეცემათ ყოველ ნაბიჯზე. მებრძოლები ნაღმებს პოულობენ სრულიად მოულოდნელ ადგილებში: ალუბლის ხის შტოებში, ხენდრის ბუჩქებში, მიტოვებულ ტექნიკასა და ამუნიციაში.

ღამით არტილერიის სროლა აწყობს ბრძოლის ველს. ბრძოლები გრძელდება რაკეტებს თვალისმომჭრელ ციმციმში. სწარმოებს დაძაბული ბრძოლა.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა წარმატებით განავითარეს შეტევა და დღის იერიშით აიღეს ქალაქები და დიდი სარკინიგზო კვანძები ვლადიმირ ვოლინსკი და რავა რუსკაია, დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი, 8 კილომეტრზე ლვოვის-ტარნოპოლის-ოდესის-ბუქარესტის-ბერლინის-ბრესლავ-ბეთლეხემ-ბოსტონ-ბუენოს-აირეს-ბეთლეხემ-ბოსტონ-ბერლინ

ხელი შეუწყოთ ახალგაზრდა რკინიგზელებს

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მუშათა შეკრება

ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში ამ ბოლო დროს ფართოდ გაიხალა შეჯიბრება ახალგაზრდულ-ფრონტულ ბრიგადებს შორის. ბაქოს საორთოქლმავლო დეპოს აწეკითი საამქროს ახალგაზრდულმა ფრონტულმა ბრიგადამ (ბრიგადის ხელმძღვანელი კომკავშირელი ი. სინდიაშკინი) წინადადება შემოიტანა, რომ რკინიგზელთა საკავშირო დღისათვის თბილისში მოწვეული ყოფილიყო ამიერ-კავკასიის რკინიგზის საწარმოების ახალგაზრდა მუშათა საგზაო შეკრება და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ახალგაზრდულ ბრიგადებს ამ შეკრებაზე დასწრების უფლება მისცემოდათ. შეკრების მოწვევის მთავარ მიზნად მისმა ინიციატორებმა დასახეს ახალგაზრდულ-ფრონტული ბრიგადების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

წინადადება ერთხმად მოიწონეს მთელ გზაზე. ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტმა შეკრების მოწვევის თარიღად დანიშნეს 20 ივლისი. ახალგაზრდა რკინიგზელმა მუშებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპები და ფართოდ გაშალეს ბრძოლა შეკრებაზე დასწრების უფლების მოსაპოვებლად.

შეკრებაზე, რომელიც 20 ივლისს გაიხსნა თბილისში, საქართველოს ფილარმონიის ბალის საზაფხულო თეატრში, ჩამოვიდნენ ახალგაზრდა რკინიგზელი მუშები ამიერ-კავკასიის რკინიგზის ყველა უბნიდან—საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

შეკრება გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ნინიტაშვილმა. მქუხარე ტაშითა და ხანგრძლივი ოვაციებით შეკრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ხალხთა მამა და მესწავლეები, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი დიდი სტალინი, მისი უახლოესი თანამებრძოლნი—მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი და აგრეთვე ამხანაგები — ჩარკვიანი, ბაგიროვი, არუთინოვი და მიხაილოვი.

შეკრების პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ—გ. კიკნაძე, მ. ჩუბინიძე, მ. ბალავაძე, ბ. ლელინი, გ. ამბაიშვილი, ა. შენგელია, ი. ჭარუმიძე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ფაკლური და სხვ.

შეკრების პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა გზის უფროსის, მოძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება რკინიგზელთა ახალგაზრდულ - ფრონტული ბრიგადების მუშაობისა და მათი უახლოესი ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდულ-ფრონტული ბრიგადების რაოდენობა გზაზე დღითიდღე იზრდება და ამჟამად მათი რიცხვი 200-ს აჭარბებს. მრავალი ათასი ახალგაზრდა რკინიგზელი მუშა სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ახალგაზრდა რკინიგზელთა შრომითი თავდადების მაგალითებზე. მან დაასახელა ახალგაზრდები, მათ შორის სამტრედიელი ი. ალფაიძე, ბ. მუქერია, თბილისელი დ. ჭავჭანიძე, ბაქოელი ი. სინდიაშკინი და სხვები, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის განსაცვიფრებელ მაგალითებს იძლევიან. მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შეკრებაზე ჩამოსულმა ახალგაზრდა რკინიგზელთა მუშებმა—ი. სინდიაშკინმა, დ. ჭავჭანიძემ, სტეპანიანმა, ბ. მუქერიამ, გ. გოგოლაშვილმა და სხვ.

შეკრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალს ი. ბ. სტალინს.

სხდომის ბოლოს გამოკვეყნებულ იქნა გზათა სახალხო კომისრის ლ. მ. კაგანოვიჩის დეპეშა, რომლითაც იგი მიესალმება შეკრების მონაწილეებს.

* * *

შეკრების მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ახალგაზრდულ-ფრონტული ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. თბილისის სადგურ-საკავშირო უბნის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კოკინაძემ, ერევნის საკვანძო კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. კარაპეტიანმა, სამტრედიის კვანძის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. კრავეიშვილმა და სხვ. ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე. მოწონავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების ორგანიზაციის საკითხებზე ილაპარაკეს ამხ. სუვოროვმა, არველაძემ, ჯაფაროვმა, ხარატურიანმა, დოლიძემ, ბეჭკენაძემ, ტალახაძემ, ჰამდოვმა და სხვებმა, სულ 27 კაცმა.

კამათიდან გამოირკვა, რომ იქ, სადაც ახალგაზრდა მუშებს კარგად ეხმარებიან როგორც საწარმოთა ხელმძღვანელები, იაე ადგილობრივი პარტიული და პროფესიული, ჰირველ რიგში კი კომკავშირული ორგანიზაციები, მიღწეულია დიდი აქვთ. თბილისის საორთოქლმავლო დეპოს გარეცხვითი რემონტის საამქროს ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ჭავჭანიძე ხელმძღვანელობს და სადაც 15 კაცის ნაცვლად 7 კაცი მუშაობს, ივნისის დავალება ორმაგი გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო ივლისის ორ დეკადაში დგგმის გადამეტებით გარეცხვითი რემონტიდან გამოუშვა 6 ორთქლმავალი. დიდ დახმარებას უწევს სამტრედიის კვანძის კომკავშირული ორგანიზაცია ადგილობრივი საგაგონო დეპოს ახალგაზრდულ ბრიგადებს, რომლებსაც ამხ. ალფაიძე და მუქერია ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები სულ ორიოდე თვეა ჩამოყალიბდნენ და უკვე გაითქვეს სახელი მთელ გზაზე. ივლისის ორ დეკადაში ახალგაზრდა მევაგონეთა ამ ორმა ბრიგადამ დგგმის გადამეტებით 6 ახალი ვაგონი მისცა რკინიგზის ტრანსპორტს.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე. იგი შეჩერდა უმთავრესად იმ ამოცანებზე, რაც ახლა დგას ახალგაზრდა რკინიგზელ მუშათა მასებისა და განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

შეკრებამ მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის რკინიგზების ყველა ახალგაზრდა მუშისადმი.

მისასალმებელი დეპეშები გაიგზავნა გზათა სახალხო კომისარს ლ. მ. კაგანოვიჩს და ქართველი ხალხის სიამაყე—შვილს ლ. პ. ბერიას.

ქუთაისელთა საწარმოო მაჩვენებლები

ქუთაისი. ქუთაისელი რკინიგზელები საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან რკინიგზელის საკავშირო დღეს. ივლისის 15 დღის განმავლობაში ქუთაისის საორთოქლმავლო დეპოს კოლექტივმა 2,7 პროცენტით შეამცირა „ავადმყოფ" ორთქლმავალთა რიცხვი და საკუთარი ალმოფხვრა წუნისა და ავარიების შემთხვევები. პ. კაკაბაძის ახალგაზრდულმა ბრიგადამ ორი ორთქლმავალი, ნაცვლად გათვალისწინებული 22 საათისა, შეასრულა 4 საათში. ლუნინელმა მემანქანემ ს. კოკნაძემ ივლისის პირველნახევარში ზოგა ერთი ტონა საწვავი და ამასთანავე გარბენის ნორმა გადაჭარბებით შეასრულა.

ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ რკინიგზის ქალაქის სატვირთო სადგურისა და სალინდგომ დისტანციის კოლექტივებს.

შ. გვაქაბია

მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ

ბოლნისი („კომუნისტის" საკ. კორ.). სოფელ ქვეშის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავლის აღებაზე კარგად მუშაობს № 5 ბრიგადა (ბრიგადირი ბ. ხადური). მან 4 დღეში პურეული 36 ჰექტარზე ვალიბა. კოლმეურნეები შ. გამდლიშვილი, მ. რჩეულაშვილი, ვ. ცოსნიაშვილი, ნ. ლოლოშვილი პურის ცელვის დღიურ ნორმებს 160-180 პროცენტით ასრულებენ.

სოფელ ძეკერის კოლმეურნეებმა 3 დღეში პურეული 60 ჰექტარზე ვალიბეს. მოწონაგეა პირველი ბრიგადა, რომელსაც ი. გოხელაშვილი ხელმძღვანელობს. სტახანოველურად შრომობენ მ. ბუხრაძე, გ. ხუციშვილი, ო. ბუხრაძე, გ. ქოთოლაშვილი, მფოცხავები თ. გოხელაშვილი, ვ. ლალიაშვილი, ს. ხუციშვილი. კოლმეურნეობაში კარგად არის მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა, მფოცხავებს თან მიჰყავთ თავთავების ამკრეფები. მარტო პირველი ბრიგადიდან თავთავების აკრეფაზე ყოველდღიურად მუშაობს 21 ქალი და მოზარდი.

კომბაინებით მოსავლის აღებას შეუდგნენ გორის, შინდისის და ახალსოფლის მტს-ები. გორის მტს-ის მთელი რიგი კომბაინერებმა მოსავლის აღებას დაწყებს პირველი დღიდანვე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს. კომბაინერი ზ. გოჩიაშვილი სოფელ არაშენდის კოლმეურნეობის მინდვრებზე 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 12-13 ჰექტარზე იღებს მოსავალს. უდანაკარგოდ იღებს მოსავალს კომბაინერი ვ. მამუკაშვილი.

წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. სოფელ ხელეთუნის კოლმეურნეობა „განთიადმა" სახელმწიფოს ჩაბარა 14,800 კილოგრამი პური და ქერი, პატარა ხურვალეთის კოლმეურნეობამ—2,695 კილოგრამი ხორბალი. სულ რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ივლისისათვის უკვე ჩაბარებული ჰქონდათ 205 ტონა ხორბალი.

არიან კოლმეურნეობები, რომლებიც ჩამორჩნენ მოსავლის აღებაში. სოფელ დიცის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ჭინჭაძე) პური დაშეფოდა, მაგრამ მისი აღება ჯერაც არ დაუწყიათ. სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. კვირიკაშვილი) კომბაინით მოსავლის აღება სამი დღის დაგვიანებით დაწყეს. კოლმეურნეობამ კომბაინთან დროზე არ მიიტანა საწვავი და წყალი, რის გამო მანქანა მოკედა.

შ. ჩუბინიძე

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია

საჩხერე („კომუნისტის" საკ. კორ.). საჩხერის რაიონის კოლმეურნეობათა ბევრი სარევიზიო კომისია წარმატებით ასრულებს თავის საპატიო ამოცანას. მაგრამ ყველგან როდი მუშაობენ კარგად. სოფელ მოხვის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მოხსნა ამ სამუშაოდან, რის უფლება, რასაკვირველია, მას არ ჰქონდა. სარევიზიო კომისიები სუსტად ან სულ არ მუშაობენ სოფელ ჭორვილის კოლმეურნეობა „ოქტომბრის დროშაში", ნიგვზარის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში", ოგრეთვე სარეკის, სხვიტორის, წასარის კოლმეურნეობებში.

ჭორვილის კოლმეურნეობა „ოქტომბრის დროშის" სარევიზიო კომისიას წელს ერთხელაც არ გაუკეთებია რევიზია. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მაჰავარიანი თავს არ იწუხებდა კოლმეურნეობაში არსებულ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისათვის.

სარევიზიო კომისიის ცუდი მუშაობითაც აიხსნება ის, რომ ჭორვილის კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო ქონების განიავებას. კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ გ. ივანიშვილმა 51,000 მანეთი გაანიავა, ხოლო მოინგარიშე ს. ხატალაშვილმა და მოლარე გოგატიშვილმა შრომადღეებზე დასარიცხებელი 13,400 მანეთი მიითვისეს.

სარევიზიო კომისიების სუსტი მუშაობის შედეგად ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს შრომადღეების უკანონოდ ხარჯვას. სოფელ გოგალაძეების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უკანონოდ გადახარჯა 2,580 შრომადღე. აქ შრომადღეებს უწერდნენ საჩხერეში ცნობების ჩამოტანაშიც, სასოფლო საბჭოს შენობის რემონტზეც და სხვ. ასევე უკანონოდ გადახარჯეს შრომადღეები სოფელ სავანეში, ჩიხაში, პერევში, საჩხერის მიქიანინის სახელობის კოლმეურნეობაში.

საჩხერის ვეტპუნქტის გამგეს ბ. გრძელიშვილს კოლმეურნეობაში ეწერება შრომადღეები, მაშინ როცა ეს კოლმეურნეობა მის მომსახურების ზონაში შედის და მას ევალება შრომადღეების დაუწერლად იმუშაოს.

კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ მუშაობა, დაუნდობლად იბრძოლონ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, საკოლმეურნეო დოვლათის დასაცავად.

პ. ჭიოკაძე

დღიურები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის მეზობლის ცნობები

ლონდონი, 20 ივლისი (საკ. ინ.). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 20 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

კანის აღმოსავლეთითა და სამხრეთით ბრძოლა ჯარის მთელ რიგ დარტყმებს შედეგად მოაყვა ამ რაიონის ერთგვარი გაფართოება, რომელიც მტკიცედ გვიპყრია. მოწინააღმდეგე განდევნილია ბურგებიოსიდან და ფრონტალურად. მოკავშირეთა ხელშია ავრეთვე სოფლები ბრა და იუბერი სენ-ანდრე-სიურ-ორნის ჩრდილოეთით.

მოწინააღმდეგის ცდები — კონტრიერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე — მოგერიებულ იქნა და ტერარნუსადმი ჩვენი ჯარების მუქარა გაძლიერდა სენ-პერის მიმართულებით წინ წაწევის შედეგად. სენ-ლოს ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს მდინარე ვირის ბაზს, ავრეთვე გაიუმჯობესეს პოზიციები ქალაქის სამხრეთით.

შუალამიდან შუადღემდე ცუდმა ჰილვადობამ შეზღუდა საჰაერო ოპერაციები უშუალოდ ბრძოლის ველის თავზე. მაგრამ საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე წარმატებითი ოპერაცია ჩატარდა.

ლონდონი, 21 ივლისი (საკ. ინ.). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ქვეითმა ჯარმა, რომელიც სენ-ანდრე-სიურ-ორნის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობისაკენ უტევდა, დაიკავა ეს სოფელი. ამ პუნქტსა და ბურგებიუს შუა მდებარე პლაცდარმი გაფართოებულია მდინარე ორნიდან ვირიერის გარეუბნებამდე.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება უშუალოდ ბრძოლის რაიონის თავზე 20 ივლისის განმავლობაში შეზღუდული იყო ცუდი ჰილვადობით.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 21 ივლისი (საკ. ინ.). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა არმიები იტალიაში განაგრძობდნენ მოწინააღმდეგეზე მიწოლას. ადრიატიკის სექტორში მე-8 არმიის ნაწილებმა, რომლებიც მდინარე ეზინის ჩრდილო-დასავლეთისაკენ უტევენ ძნელად სავალ მთიან ადგილებში, საკმაოდ მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. მე-8 არმიის ნაწილები, რომლებიც ტბორის ზემოწელის ხეობაში მოქმედებენ, უახლოდებიან ქალაქ ჩიტა-დი-კასტელის (არეკის აღმოსავლეთით), სადაც მტერი ისევ დიდი ხანია შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. არეკის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წაიწიეს წინ. მე-5 არმიის უბანზე მოკავშირეთა ნაწილებმა მიაღწიეს კასტელ-ფიორენტინოს გარეუბნებს (ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით). ამ რაიონში მტერი კვლავ შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს.

ფუშინ მძიმე ბომბდამშენებმა თავდასხმები მოახდინეს მთელ რიგ ობიექტებზე საბრძოლო ზონაში. ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს მტრის ობიექტები ბრძოლების ზონაში. ავიადესანტურებმა მოქმედებდნენ იუგოსლავიაში.

ამერიკის 1.100 ბომბდამშენის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 21 ივლისი (საკ. ინ.). რაგორც ოფიციალურად იუწყებიან, დღეს დილით ამერიკის 1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი, რომლებიც ავიადესანტურების ფრთად დიდი შენაერთების თანხლებით მოქმედებდნენ, თავს დაესხა თვითმფრინავების ამწყობ ქარხნებს რეგენსბურგში, ბურთულ-საკისრის ქარხნებს შვაინფურტში და ბამბერგის ახლოს და სხვა ობიექტებს სამხრეთ გერმანიაში. დაბომბვა კარგი ხილვადობის პირობებში სწარმოებდა.

გერმანიის ამბები

ნიუ-იორკი, 20 ივლისი (საკ. ინ.). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბერლინელ კორესპონდენტი იმოწმებს დაუდასტურებელ ცნობებს ეა გადმოგვცემს, რომ გერმანიის სხვადასხვა ნაწილებში რეგულარულ სამხედრო ნაწილებსა და ჰიტლერული პარტიის წევრებს შორის, რომლებსაც სს-ელები მეთაურობენ, მოხდა შეტაკებანი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის ყველა დიდ ქალაქში შესდგა ჰიტლერული პარტიის წევრთა კრებები. ჰიტლერული ორგანიზაციების ყველა წევრს წინადადება მიეცა დაედასტურებინა თავისი ერთგულება ჰიტლერული პარტიისა და ჰიტლერისადმი. ციურიხიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის სხვადასხვა ნაწილებში მღელვარება მოხდა. მატარებლები, რომლებიც გერმანიიდან ბაზელში მოდიან, 3-6 საათით იგვიანებენ და ცოტა მეზავრები მოჰყავთ.

ჟენევა, 21 ივლისი (საკ. ინ.). დღეს დილაადრიან გერმანიის რადიომ გადასცა ფაშისტი მეთაურების — ჰიტლერის, გერინგის და სხვათა მმართველები და ბრძანებები. ამ გადაცემებიდან სჩანს, რომ ჰიტლერზე გუშინ მოხდენილი თავდასხმა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია ფართო სამხედრო შეთქმულებისა, რომელიც გერმანელი გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფის მიერ არის მოწყობილი.

თავის გამოსვლაში რადიოთი ჰიტლერმა გამოაცხადა, რომ გერმანიაში იქმნება სპეციალური „საშინაო არმია", რომელსაც მეთაურობს ობერჯალთონ ჰილერი. მას მინიჭებული აქვს უაღრესად ფართო უფლებანი ჰიტლერული მთავრობის წინაალმდეგ მიმართულ მოძრაობასთან ანგარიშის გასასწორებლად.

გერმანიის ავიაციისადმი მიმართულ თავის ბრძანებაში გერინგი მოწმობს, რომ შეთქმულების ორგანიზატორები ცდილობენ ხელთ იგდონ ძალაუფლება გერმანიაში, თავიანთ მხარეზე გადაიბირონ არმია და მოსახლეობა და ამ მიზნით აქვეყნებენ საკუთარ ბრძანებებსა და ბიმართვებს. გერინგის განკარგულებით გენერალ-პოლკოვნიკი შტრემპფი დანიშნულია გერმანიის საგანგებო პოლიციური საშინაო ავიაციის სარდლად. ამ ავიაციის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ჰიმმლერს და ესმის „საშინაო არმიას". გერინგი ბრძანებაში წინადადებას იძლევა ადგილზევე დახვრიტონ ოფიცრები და ჯარისკაცები მათი ხარისხის მიუხედავად, აგრეთვე სამოქალაქო პირები, რომლებიც „მზარს უჭერენ შეთქმულებს".

აუის საბჭოთა ბერმანიის ამბების შესახებ

ლონდონი, 21 ივლისი (საკ. ინ.). აუის საგენტო სტოკჰოლმიდან გადმოცემულ ცნობაში იუწყება, რომ ჰიტლერისა და ზოგიერთი მისი გენერლის, მათ შორის ოდლის, მოკლის ცდის, როგორც ფიქრობენ, ადგილი ჰქონდა 20 ივლისს საღამოს დაახლოებით 5 საათზე. სწორედ ამ დროს მოულოდნელად შეწყვეტილ იქნა სატელეფონო კავშირი ბერლინთან და სხვა ნეიტრალურ ქვეყნებთან. შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ჰიტლერი ამ დროს თავის შტაბს ეთათბირებოდა.

როგორც აუის საგენტოს მიმომხილველი აღნიშნავს, „ჰიტლერის მოკვლის ცდა მაჩვენებელია გერმანიის სამხედრო და საშინაო კრიზისის სერიოზულობისა. ეს ცდა ამთავრებს თანამდებობიდან მთელ რიგ გადაყენებას, სასამართლო პროცესებს დამარცხების მოზრეობისათვის, იმ აჯანყების მსგავს აჯანყებებს, როცა ჩრდილოეთ ნორვეგიაში გერმანელმა მეზღვაურებმა უარი სთქვეს გასულ ... ...